

# პროექტი „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“

2016 წლის მოკლე ანგარიში



ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,  
დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების  
სახელმწიფო ფონდი

ქ.თბილისი, თამარაშვილის 15 ა


+ (995 32) 2 39 53 50

## პროექტი - ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია

2016 წლის მოკლე ანგარიში

### პროექტის ფარგლებში:

- **ადიჭურვა** თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების **კრიზისული ცენტრი** ყველა საჭირო საოფისე და საოჯახო ტექნიკით, ავეჯით, სამეურნეო და რბილი ინვენტარით, ჯამური ღირებულებით 41176 ლარი. დამონტაჟდა ახალი რკინის ჭიშკარი, ღირებულებით 2992 ლარი.
- მომზადდა სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის **ახალი ვებ-გვერდი** ([www.atipfund.gov.ge](http://www.atipfund.gov.ge)), ღირებულებით 4500 ლარი.
- ტექნიკურად დაიხვეწა და ფუნქციონალურად გამრავალფეროვნდა **ცხელი ხაზის (116 006)** სისტემა, კერძოდ, შესაძლებელი გახდა მონიტორინგის მიზნით ზარების ჩაწერა და პარალელურ რეჟიმში 3 პირის ჩართულობა, ღირებულებით 4200 ლარი.
- მომზადებულ იქნა ოჯახში ძალადობის საკითხებზე (116 006) მოქმედი ცხელი ხაზის **სარეკლამო ბანერები და სტიკერები**, ღირებულებით 5590 ლარი. ნაწილი განთავსდა კრიზისული ცენტრის ეზოში, ხოლო ნაწილის განთავსება მოხდა ქ. თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტში - ავტობუსები და მეტრო სადგურები.
- კრიზისული ცენტრისა და თავშესაფრისათვის შესყიდულ იქნა 2 ერთეული **სატრანსპორტო საშუალება** Renault Logan, ჯამური ღირებულებით 53000 ლარი.
- ოჯახში ძალადობის თემაზე, სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის 16-18 და 23-25 ოქტომბერს გაიმართა **2 ტრენინგი ბორჯომში**, საერთო ღირებულებით 13470 ლარი.
- **დაქირავებულ იქნა 2 ადგილობრივი ექსპერტი**, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურების სტანდარტის დოკუმენტის შემუშავებისა და ტრენინგ-მოდულის შექმნის უზრუნველსაყოფად. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 12900 ლარი.
- 19-20 დეკემბერს, სახელმწიფო ფონდისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისათვის გაიმართა **ტრენინგი** „სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხები“.
- 2016 წელს **გრანტის მოცულობამ** შეადგინა 173 273 ლარი. საკასო ხარჯმა - 165 653.13 ლარი.



ადამიანი ვაქრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი